ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29

2026 წლის 29 იანვარი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის №285 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N285 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 29/11/2021წ., 010250020.35.160.016733) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართ №1-ში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დებულების მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ კოდექსის 55^2, 55^6, 77^1, 82^5(პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკებიბს რეალიზაციის ნაწილში), 107^4, 119^1, 146^1, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 150-ე,150^1, 152-ე, 152^2, 152^5, 152^6, 152^7, 152^8, 152^9, 153^3 მუხლის პირველი, და მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4, 156^2, 156^4, 158^5-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის; 159-ე, 159^1, 166^2-ე მუხლებზე კანონით დადგენილი წესით დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას, სასკ-ის 82^5 (პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაიის ნაწილში) მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნიმუშის დალუქვის ღონისძიებების გარტარებას და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა რეხვიაშვილი**